საქართველოს პარლამენტი

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-თებერვლის შესრულების შესახებ

ოპერატიული ინფორმაციის

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
მარტი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 3,761.5 მლნ ლარი	62.0% 3 თვის გეგმის	15.3% წლიური გეგმის
გადასახდელები - 3,920.7 მლნ ლარი	66.9% 3 თვის გეგმის	15.7% წლიური გეგმის

ნაშთის ცვლილება -159.2 მლნ ლარი	საოპერაციო სალდო 380.2 მლნ ლარი	მთლიანი სალდო -263.3 მლნ ლარი

შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები





გადასახადების სტრუქტურა



ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

2024 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** შესრულება 3,761.5 მლნ ლარს, წლიური გეგმის (24,569.5 მლნ ლარი) 15.3%-ს და 3 თვის გეგმის[1] (6,066.2 მლნ ლარი) 62.0%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 725.5 მლნ ლარით (23.9%-ით) აღემატება (შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

2024 წლის 2 თვეში **გადასახდელების** შესრულება 3,920.7 მლნ ლარს, წლიური გეგმის (25,030.4 მლნ ლარი) 15.7%-ს და 3 თვის გეგმის (5,862.9 მლნ ლარი) 66.9%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის იანვრის მაჩვენებელს 895.2 მლნ ლარით (29.6%-ით) აჭარბებს (ხარჯების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).





შემოსულობების კომპონენტების შესრულებას რაც შეეხება, 3 თვის გეგმის მიმართ, შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს შემოსავლებს - 62.3%, ფინანსური აქტივების კლების კომპონენტის შესრულება გადაჭარბებით გამოირჩევა (101.1%), ვალდებულებების ზრდის კომპონენტი შედარებით დაბალი შესრულების დონით ხასიათდება (45.9%), ხოლო არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტის შესრულება 3 თვის გეგმის მხოლოდ 1.1%-ია.

გადასახდელების კომპონენტების შესრულებასთან დაკავშირებით, ხარჯების შესრულების მაჩვენებელი 3 თვის გეგმის 64.4%-ს შეადგენს, შესრულების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა არაფინანსური აქტივების და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტები (შესაბამისად, 3 თვის გეგმის 91.5% და 72.0%), ვალდებულებების კლების კომპონენტი კი შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (3 თვის გეგმის 51.3%).





[1] 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 29 დეკემბრის №518 ბრძანება.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი წლის დასაწყისისათვის 1,577.3 მლნ ლარს გაუტოლდა. 2 თვის შემოსულობების და გადასახდელების გათვალისწინებით ნაშთის გამოყენებამ 159.2 მლნ ლარი შეადგინა და 2024 წლის 1 მარტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,418.2 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.



2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო** 2 თვეში 380.2 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** -263.3 მლნ ლარი შეადგინა.



გადასახადების შესრულებამ იანვარ-თებერვალში 3,174.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 3 თვის გეგმის 61.0%-ს და წლიური გეგმის 16.6% შეადგენს. 3 თვის გეგმის მიმართ ყველა საგადასახადო შემოსავალი მობილიზების კარგი დონით ხასიათდება და 65.7%-73.3%-ის ფარგლებში მერყეობს, გარდა მოგების გადასახადისა და სხვა გადასახადისა (შესაბამისად, 3 თვის გეგმის 32.8% და 49.3%). გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 376.4 მლნ ლარით (13.5%-ით) არის გაზრდილი, ძირითადად, საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადების, შესაბამისად, 14.5%-იანი და 17.0%-იანი მატების გავლენით.



ხარჯების, შესრულებამ 2 თვეში 3,077.0 მლნ ლარი შეადგინა, 3 თვის გეგმის 64.4% და წლიური გეგმის 16.1%. 3 თვის გეგმასთან მიმართებით, მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა პროცენტის მუხლი (84.1%), კარგი მაჩვენებლით ხასიათდება სოციალური უზრუნველყოფის (68.2%), სხვა ხარჯების (63.1%), სუბსიდიებისა (67.1%) და შრომის ანაზღაურების (59.7%) მუხლები, შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება საქონლისა და მომსახურების (56.1%) და გრანტების (43.9%) მუხლები. წინა წელთან შედარებით ხარჯები 603.9 მლნ ლარით (24.4%-ით) გაზრდილია, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის (242.9 მლნ ლარით) მუხლით ხარჯების მატების გავლენით.



დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 2 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა*	2024 წლის 2 თვის შესრულება	შესრულების % 3 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
შემოსულობები	**3,036.1**	**24,569.5**	**6,066.2**	**3,761.5**	**62.0%**	**15.3%**
შემოსავლები	**3,005.3**	**20,731.0**	**5,548.2**	**3,457.2**	**62.3%**	**16.7%**
გადასახადები	2,797.6	19,115.0	5,207.4	3,174.0	61.0%	16.6%
საშემოსავლო გადასახადი	956.1	6,345.1	1,626.0	1,094.9	67.3%	17.3%
მოგების გადასახადი	284.6	2,690.0	1,080.0	354.1	32.8%	13.2%
დღგ	1,038.5	7,388.3	1,699.4	1,215.3	71.5%	16.4%
აქციზი	273.1	2,375.0	454.0	333.0	73.3%	14.0%
იმპორტის გადასახადი	18.3	150.0	32.0	21.0	65.7%	14.0%
სხვა გადასახადები	227.1	166.6	316.0	155.7	49.3%	93.4%
გრანტები	72.4	266.0	95.1	74.5	78.3%	28.0%
სხვა შემოსავლები	135.3	1,350.0	245.7	208.7	84.9%	15.5%
არაფინანსური აქტივების კლება	**0.1**	**200.0**	**36.0**	**0.4**	**1.1%**	**0.2%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**81.7**	**300.0**	**150.0**	**151.7**	**101.1%**	**50.6%**
ვალდებულებების ზრდა	**-51.0**	**3,338.5**	**331.9**	**152.3**	**45.9%**	**4.6%**
საგარეო	204.6	1,838.5	145.9	130.9	89.7%	7.1%
საშინაო	-255.6	1,500.0	186.0	21.4	11.5%	1.4%
გადასახდელები	**3,025.5**	**25,030.4**	**5,862.9**	**3,920.7**	**66.9%**	**15.7%**
ხარჯები	**2,473.1**	**19,120.9**	**4,779.0**	**3,077.0**	**64.4%**	**16.1%**
შრომის ანაზღაურება	325.8	2,577.3	636.7	380.3	59.7%	14.8%
საქონელი და მომსახურება	262.7	2,232.0	602.9	338.3	56.1%	15.2%
პროცენტი	263.3	1,540.0	427.6	359.7	84.1%	23.4%
სუბსიდიები	118.7	1,044.9	236.8	158.8	67.1%	15.2%
გრანტები	127.2	1,513.0	361.6	158.9	43.9%	10.5%
სოციალური უზრუნველყოფა	1,026.2	7,470.4	1,860.9	1,269.1	68.2%	17.0%
სხვა ხარჯები	349.1	2,743.2	652.5	411.8	63.1%	15.0%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**366.9**	**4,180.6**	**703.4**	**643.9**	**91.5%**	**15.4%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**15.3**	**305.6**	**22.3**	**16.0**	**72.0%**	**5.2%**
ვალდებულებების კლება	**170.3**	**1,423.4**	**358.2**	**183.8**	**51.3%**	**12.9%**
საგარეო	167.7	1,380.6	345.5	181.1	52.4%	13.1%
საშინაო	2.6	42.7	12.7	2.7	21.1%	6.3%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	**10.6**	**-460.9**	**203.2**	**-159.2**		

* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №518)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 2 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა	2024 წლის 2 თვის შესრულება	შესრულების % 3 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
შემოსავლები	**3,005.3**	**20,731.0**	**5,548.2**	**3,457.2**	**62.3%**	**16.7%**
გადასახადები	2,797.6	19,115.0	5,207.4	3,174.0	61.0%	16.6%
გრანტები	72.4	266.0	95.1	74.5	78.3%	28.0%
სხვა შემოსავლები	135.3	1,350.0	245.7	208.7	84.9%	15.5%
ხარჯები	**2,473.1**	**19,120.9**	**4,779.0**	**3,077.0**	**64.4%**	**16.1%**
შრომის ანაზღაურება	325.8	2,577.3	636.7	380.3	59.7%	14.8%
საქონელი და მომსახურება	262.7	2,232.0	602.9	338.3	56.1%	15.2%
პროცენტი	263.3	1,540.0	427.6	359.7	84.1%	23.4%
სუბსიდიები	118.7	1,044.9	236.8	158.8	67.1%	15.2%
გრანტები	127.2	1,513.0	361.6	158.9	43.9%	10.5%
სოციალური უზრუნველყოფა	1,026.2	7,470.4	1,860.9	1,269.1	68.2%	17.0%
სხვა ხარჯები	349.1	2,743.2	652.5	411.8	63.1%	15.0%
საოპერაციო სალდო	**532.2**	**1,610.1**	**769.2**	**380.2**	**49.4%**	**23.6%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**366.7**	**3,980.6**	**667.4**	**643.5**	**96.4%**	**16.2%**
ზრდა	366.9	4,180.6	703.4	643.9	91.5%	15.4%
კლება	0.1	200.0	36.0	0.4	1.1%	0.2%
მთლიანი სალდო	**165.5**	**-2,370.5**	**101.8**	**-263.3**	**-258.7%**	**11.1%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-55.8**	**-455.4**	**75.5**	**-294.8**	**-390.5%**	**64.7%**
ზრდა	**25.8**	**305.6**	**225.5**	**16.0**	**7.1%**	**5.2%**
ვალუტა და დეპოზიტები	10.6	0.0	203.2	0.0	0.0%	
სესხები	15.3	305.6	22.3	16.0	72.0%	5.2%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0		
კლება	**81.7**	**760.9**	**150.0**	**310.8**	**207.2%**	**40.8%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	460.9	0.0	159.2		34.5%
სესხები	81.7	300.0	150.0	151.7	101.1%	50.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0		
ვალდებულებების ცვლილება	**-221.3**	**1,915.1**	**-26.3**	**-31.5**	**119.8%**	**-1.6%**
ზრდა	**-51.0**	**3,338.5**	**331.9**	**152.3**	**45.9%**	**4.6%**
საშინაო	-255.6	1,500.0	186.0	21.4	11.5%	1.4%
საგარეო	204.6	1,838.5	145.9	130.9	89.7%	7.1%
კლება	**170.3**	**1,423.4**	**358.2**	**183.8**	**51.3%**	**12.9%**
საშინაო	2.6	42.7	12.7	2.7	21.1%	6.3%
საგარეო	167.7	1,380.6	345.5	181.1	52.4%	13.1%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**		

საქართველოს პარლამენტი